ხელშეკრულება № 2

ქ. კასპი, სოფელი ნიგოზა **16 იანვარი 2024 წელი**

სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგოზას საჯარო სკოლა შემდგომში ‘‘დამკვეთად‘‘ წოდებული წარმოდგენილი დირექტორის ლედი მიდელაშვილის სახით, რომელიც მოქმედებს შესყიდვების დებულების საფუძველზე ერთის მხრივ და მეორეს მხრივ შ.პ.ს. ‘‘ახალი განთიადი’’ შემდგომში ’’შემსრულებლად‘‘ წოდებული, წარმოდგენილი დირექტორის /რედაქტორის/, ნანა მერებაშვილის სახით, რომელიც მოქმედებს შესყიდვების დებულების საფუძველზე წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე თანხმდებიან შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, შპ.ს. ‘‘ახალი განთიადი’’ სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგოზას საჯარო სკოლას მიაწვდის გაზეთ ‘‘ახალ განთიადს’’ ყოველი ნომრის 3 ეგზემპლარს **(CPV-22200000).**

2. საქონლის მიწოდების (მომსახურების გაწევის) წესი, ვადები და ღირებულება

2.1. გაზეთ ‘‘ახალი განთიადის’’ ერთი ეგზემპლარის ღირებულებაა 2,00 ლარი.

2.2სახელშეკრულებო ღირებულება 2024 წლის 01 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შეადგენს 72 (სამოცდათორმეტი) ლარს.

3. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

3.1 ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

3.2 ანგარიშსწორება წარმოებს ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

3.3. შემსრულებელმა ანგარიშსწორებისათვის უნდა წარმოადგინოს სასაქონლო ზედნადები.

4.მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. ‘‘დამკვეთი‘‘ კისრულობს ვალდებულებას:

4.1.2. გადაუხადოს შემსრულებელს საქონლის ღირებულება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

4.2. ‘‘შემსრულებელს’’ უფლება აქვს:

4.2.1. მოსთხოვოს დამკვეთს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისათვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. ხელშეკრულების პირობების ინსპექტირება

6.1. დამკვეთი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შესყიდვის მოთხოვნასთან.

7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2025 წლის 31 იანვრამდე.

8. ზოგადი დებულებები

8.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

8.2. ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილი იქნეს ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.

8.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგლამენტირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლიარად და ორივე ტექსტს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და დამკვეთისთვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ''ფორს-მაჟორი'' ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემკვეთსა და/ან მენარდეს შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე

არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

10.1. მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

11. მხარეთა რეკვიზიტები

„დამკვეთი”
სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ
ნიგოზას საჯარო სკოლა
მისამართი: კასპი, სოფელი ნიგოზა
ს/კ 232550842
nigoza @mes.gov.ge
სკოლის დირექტორი: **ლედი მიდელაშვილი**

„შემსრულებელი“

შპს. „ახალი განთიადი“
ს/კ 232557989
ა/ნ GE45LB0113148625779000
სს „ლიბერთი ბანკი“ LBRTGE22
ტელ: 22 25 76
axaligantiadi@gmail.com
დირექტორი (რედაქტორი) **ნანა მერებაშვილი**

Nana Merebashvili 24001007762
Digitally signed by Nana Merebashvili
Date: 2024.01.16 15:49:42